

სპორტიელი

სპორტული გაზეთი

სამუშაოთი 29 აგვისტო 2000 №165 (1187)

ფასი 50 თეთრი

5 ფრანგურბელი
ქართველები:
ერთი ტაიმი
საქართველოს
ნაპრებში, მეორე
კი გუნდებსღებურ
კლუბში

ჩვენი ნაგრების მეტოქემ
კვირას სამოყვარულო
„ბფულენდორფს“
იაშვილის და კობიაშვილის
გოლებით მოუგო

11 ახალი ამბავი
კველზე

ევროკავშირი
ფუნბურთელებით
ვაჭრობის წინააღმდეგ


14 მიკა
პეტრუსაშვილი
პირველია



სპასიბოსგან დარჩა სპა

15 ავსტრალია:
ერთა პრი პრტია!

სტირლინგ
მორტლოგმა
ყვირილი
ყურებში და
ბურთი
ქელებში გაატარა



დინამო 0 ტორპედო 3



ტორპედოელმა კახა კვეტენაძემ „დინამოს“ მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძეს გვერდი აუბრა და ცარიელ კარში საბოლოო გოლი გაიტანა

ათწლეულის გატყვი

„ვიტ ჯორჯია“ შინ „სიონთან“ 0:1
დამარცხდა. თანამსაჯმა ვიცე ჩემპიონს
ბოლო წუთებზე გატანილი გოლი არ
ჩაუთვალა. „ლოკომოტივმა“ წინა ტურში
„ბათუმის“ მძლეველ „გორდას“ 6:0
მოუგო. „დილა“ მსაჯებთან მოდავე
„მერანი“ 2:1 დაამარცხა.
სალაპარაკოც საკმარისზე მეტია, მაგრამ
ეს ყველაფერი არაფერია იმასთან, რა
დღეც კვირას საქართველოს ჩემპიონმა
ქუთაისის „ტორპედომ“ ექსტრემიონ
თბილისის „დინამოს“ აყარა.
იონანიძის, იმედაძის და კვეტენაძის
გოლებით „ტორპედომ“ პირველად
მოიგო „ეროვნულზე“, „დინამომ“
ათწლეულში მესამედ, შინ კი სულაც
პირველად წააგო დიდი ანგარიშით.

დინამო ეროვნულ ჩემპიონატებში	
ყველა საშინაო მარცხი	
30.03.90	კოლხეთი ფოთი 0:1
09.08.90	გორდა რუსთავი 0:1
30.08.91	კოლხეთი ფოთი 0:1
09.12.92	მრგვლები თბილისი 1:2
05.11.93	ერქვანი გურჯაანი 1:2
16.12.93	სამოეწელა თერჯოლა 1:2
05.11.94	სამტრედია 1:2
27.08.00	ტორპედო ქუთაისი 0:3
ყველა საგარეო მარცხი ორი და მეტი ბურთით	
10.06.90	ბათუმი 0:2
07.06.93	შვედრდენი თბილისი 1:3
17.06.93	ალაზანი გურჯაანი 3:5
12.11.93	მარგვეთი ზესტაფონი 0:2
30.11.93	შვედრდენი თბილისი 0:3
18.06.94	კოლხეთი ფოთი 1:5
23.03.97	კოლხეთი ფოთი 0:2
17.04.98	კოლხეთი ფოთი 1:3
09.05.99	ტორპედო ქუთაისი 1:3



ტორპედოელები მესამე გოლის შემდეგ

სამართველოს	ჩემპიონატი
შედეგები	ლიგა
პირველი	წრე
2 ტურში	
27 აგვისტო, კვირა	
დინამო	0
ტორპედო	3
კოლხეთი	2
იზირია	0
ბათუმი	3
თსუ	1
დილა	2
მერანი	1
28 აგვისტო, ორშაბათი	
ვიტ ჯორჯია	0
სიონი	1
ლოკომოტივი	6
გორდა	0
ლოკომოტივი	2 2 0 0 7:0 6
ტორპედო	2 2 0 0 4:0 6
ვიტ ჯორჯია	2 1 0 1 3:1 3
კოლხეთი	2 1 0 1 2:1 3
ბათუმი	2 1 0 1 4:4 3
სიონი	2 1 0 1 1:1 3
დილა	2 1 0 1 2:4 3
მერანი	2 1 0 1 2:2 3
დინამო	2 1 0 1 1:3 3
გორდა	2 1 0 1 3:7 3
თსუ	2 0 0 2 1:4 0
იზირია	2 0 0 2 0:3 0

მუარამ დურუნაშვილის ფოტო

გოლმა კალაა

თბილისი 28 აგვისტო 19 საათი არმაზი 500 (ტელეფონი 70 900)

ლოკომოტივი 6:0 გორდა

10 ბალაშვილი (26), 20 დავითაშვილი (42), 30 ჯვარაცხელია (49), 40 შენგელია (57), 50 რუსია (73), 60 ლევან სილაგაძე (83)...

მუხა ინსარბიძე

აბა ფეხბურთი ეს იყო. ბრატის-ლავის „სლოვანზე“ დაბოლოვდა „ლოკომოტივიმ“ პირველ ტურში „ბათუმის“ სენსაციურად მძლეველ „გორდას“ სულ თავები აწყველინა.

და, აღარაფერს ვამბობ კარისკენ დარტყმებსა და კუთხურებზე, უკაცრავად, დარტყმაზე და კუთხურზე.

„გორდამ“ კარის მიმართულებით პირველად მე-80 წუთზე დაარტყა, ისიც მეკარე ლომიაძემ იოლად მოიგერია. ხალხი გაკვირვებული კითხულობდა — ამათ „ბათუმს“ როგორ მოუგესო.

რეზულტი, ალბათ გრძობდნენ, არ იყვნენ და მთლად მოღუბნენ. ხიზანიშვილის ულამაზესი დარტყმული ძელს მოხვდა, მერე მეორე ძელმა შენგელიას დარტყმულიც იხიხილა, მასვე რუსთაველთა შორის საუკეთესომ, მეკარე ნიკურაძემ აუღებელი დარტყმული აუღო.

მიღეს და ხელმოკრულნი დარჩნენ, თანაც, მატჩის დრო ამოწურული რომ გახლდათ, „გორდას“ სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა. ალადაშვილმა გადასტარი ლომიაშვილის ბურთის თავზე გადავდება მოინდომა, ისე ჩანდა, უნაკლოდ დარტყა, მაგრამ... „ლოკომოტივის“ მეკარე პენალტების მოგერიებაში უკვე დაოსტატებულია და რუსთაველთა კაპიტანს პრესტიჟისაც არ გაატანინა.



გივი კვარაცხელიას (№7) ამ ვარდნით დარტყმულს „გორდას“ კარში მესამე გოლი მოჰყვა

მატჩისას კი აღსანიშნავი ესეც იყო: „ლოკომოტივიმ“ საქართველოდან კარგა ხნის გადახვეწილმა ლევან სილაგაძემ თამაშში და ხელმოკრულ დებიუტი გოლითაც აღნიშნა. თან სწორედ იმ გუნდს გაუტანა, რომელშიც ფეხბურთი ადგა და ახლა მისი მამა თამაშობს. ლევანი, რომელიც „ალანიდან“ რამდენიმე დღის წინ ისევ რიგაში, „სკონტოში“ სათამაშოდ დაბრუნდა, „ლოკომოტივიმ“ ითხოვა და პირველი წრის ბოლომდე ალბათ აქვე ათამაშებს. **დასონ ალადაშვილი, „გორდას“ მწვრთნელი:**

იყო თუ არა თამაშობარე? ფეხბურთის პასუხი მზად აქვს

თბილისი 28 აგვისტო 18:30 საათი არმაზი 1000 (ტელეფონი 3 000)

ვიტ ჯორჯია 0:1 სიონი

01 ქანჭოლაძე (50კ) 30ტ ზღვარაძე (მურმანი, სავაია, ქანჭოლაძე, კოზაშვილი, ჯ. მუჯირი (სულთანიშვილი 50), დ. ნოზაძე დიდიშელაშვილი, დ. დოლოძე (დვანიშვილი 55), ფიფინი, გ. გომიშვილი, ლ. მელქიძე სათადარიგონი: სტურუა, იმეკორელი, სესხაძე, ჯორჯია, ქორიძე)...

მანუ მძრპირიძე მცხეთიდან

ფეხბურთისადმი, ბატონო, დროულად საწევრო, მსაჯეებს დაეკემილ შეკრებებს მოვეუწყობდით, თეორიულ-პრაქტიკულად მოვამზადებდით და პრეტენზიებიც აღარ გეკენებოდით, ალბათ, ასე უპასუხებენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში წლებულს მსაჯეებით უკმაყოფილო კლუბებს. ასეთი კი ახალდაწყებულ საქართველოს ჩემპიონატში უკვე ორია — „მერანი“ და „ვიტ ჯორჯია“. ისე, ჯერ სადა ხართ, ჩემპიონატი ხომ არც გახსურებულა.

ნერვები ვეღარ მოთოკეს. მაინც კარგია, რომ ყველაფერი შვიდობიანად დასრულდა. მატჩის 87-ე წუთი მიმდინარეობდა, ბოლნისელები 1:0-ს იგებდნენ და მხოლოდ კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. „ვიტ ჯორჯია“ კი მთელი გუნდით უტყვევდა. სწორედ ამ დროს სტუმართა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, ბოლნისელებმა ბურთის მოგებრიება სცადეს, იგი შეცვალაზე შესულმა დეკანოსიძემ კარიდან დაახლოებით 15 მეტრში მოიგდო, ერთი გაისწორა და მოჭრილი დარტყმით ვოლკოვის მარჯვენა კუთხეში ჩაუსვა. მეკარე არც განძრეულა, ბურთის თვალი გააფრიალა. ვიტელებმა გაიხარეს, ორდანიძემ ხელი ცენტრისკენ დაიძინა და... „სიონის“ სათადარიგო სკამი წამოიშალა, მათ ჩივთობის აღმართული ალამი შენიშნეს. არბიტრმაც, ეს რომ დაინახა, ხელი ასწია, გოლი გააუქმა და თამაშარე დააფიქსირა. მასწინებლები ჩივთობის შემოუხვივნენ, თავის სიმართლეს უმტყიცებდნენ. რა აზრი ჰქონდა...

კანოსიძემ კი მიინიშნა 12-13 მეტრიდან დარტყა. ასე რომ, გოლი რომ ჩათვლილიყო, მსაჯეებს არავინ დაძრახავდა და იქნებ თავიანთი შეფის, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის უფროსის, ანატოლი მილჩენკოს ქებაც დაემსახურებინათ, ეს რა კარგად გაერკვიეთ სიტუაციაში.

ვიტელები მთელი შეხვედრის განმავლობაში აშკარა უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ ფეხბურთით რომ ტერიტორიული უპირატესობა აღარაფერს ნიშნავს, დიდი ხანია, ცნობილია. მით უმეტეს, ისიც ადვილი მისახვედრი იყო, რომ სტუმრებმა შეგებულად დაუთმეს სტუმრებს ინიციატივა, თავად მთელი გუნდით დაცვაში გამარჯვდნენ და შეტევისთვის ძალიან იშვიათად თუ იცლიდნენ. ძალიან იშვიათად კი არა, რეალური მომენტი მხოლოდ ერთხელ შექმნეს. 39-ე წუთზე ჯაბა მუჯირი შეცდა, პეტრიაშვილმა საჯარიმოს მისაღობებთან ბურთი წაართვა, საჯარიმოში შევიდა და კარშიც დარტყა, მაგრამ მერლანმა თამაშში ჩინებულად, სახფათო მომენტების კორიანტელი არც ვოლკოვის კართან დამდგარა. ვიტელთა მიერ შექმნილი ყველაზე რეალური მომენტი ყოფიანის მიერ საშუალო მანძილიდან დარტყმული გახლდათ — ბურთი კარის ბაჯეს გარედან მოხვდა.

„ვიტ ჯორჯიაზე“ ერთგვარად შური იძია. შეგასწავლეთ, ორი წლის წინ იგი სწორედ ამ კლუბში მუშაობდა, თუმცა ხელმძღვანელობამ შედეგი დაუწუნა და თანამდებობიდან გაათავისუფლა. ცნობისათვის, გუშინ ბოლნისელთა შორის კიდევ ერთი ექსპეტელი იყო — ვასილ მაისურაძე მინდორზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. თამაშის შემდეგ პრესკონფერენციაც მიეწეო. **ვლადიმერ ხაჩიძე, „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი:**

იყო თუ არა თამაშარე? ხუსტი პასუხის ვაცემა ძალიან ძნელია, თუმცა ერთი რამის თქმა გადაწყვეტილი შეიძლება — თუ რამ თამაშარე გარეზე ცენტრისკენ დაიძინა, რადგან დეკანოსიძის წინ თითქმის ათამდე ფეხბურთელი იყო. ჩივთობით რომ პასიური თამაშარე დააფიქსირა, ამას ისიც მოწმობს, რომ ორდანიძემ „სიონს“ თამაში კარიდან დაახლოებით შვიდმეტრზე მეტრიდან განახლებინა, დე

ჯორჯიას“ კარში გოლიც ვაციდა. შეცვლაზე შესულმა კახა გოღერძიშვილმა მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაჭკიდა ბურთი, რომელიც თითქოს მერლანის იოლი ლუკმა უნდა ყოფილიყო, ჭანჭოლაძემ მოგერიება სცადა, მაგრამ ბურთი თავზე აეჭრა და მერლანის ზურგსკენ ბაღეში ჩაეშვა — 0:1. ევ იყო და, ისედაც დაცვაში მოთამაშე „სიონი“ მთლიანად თავის ნახევარზე გამარდა. ვიტელები კი უტყვევდნენ, მაგრამ ზეირს ვერ ნახულობდნენ, ან კი რა უნდა ეხეირათ, როცა შორიდან დარტყმასაც ვერ ახერხებდნენ. მატჩის მიწურულსდა მოარგეს ბოლნისელთა დაცვას გასაღები, მაგრამ ეს მორგება მხოლოდ საკვლევ მომენტებითა შემოიფარგლა. ჯერ ყოფიანმა ააცილა შორიდან სანტიმეტრებით, მერე გორაშვილი და მეულაძე დარჩნენ ვოლკოვთან ლამის პირისპირ, გორაშვილმა დარტყა კიდევ — „სიონი“ მეკარის ბრწყინვალე თამაშმა იხსნა, დამატებაზე კი ნოზაძემ ვერ ივარგა, ახლოდან მიზანს გადააცილა. ამას დეკანოსიძის გაუქმებული გოლი მოჰყვა, ბოლოს კი მეულაძეს შეეძლო წინასწარი ალდეგა, მაგრამ ოდნავ არაზუსტად დარტყა.

ჩეხოსლოვაკიის სილა

დინამო 0:3 ზორბაქო

01 იონანიძე (22), 02 იმედაძე (32), 03 კვეციანიძე (44)

ანაბაძე ვერ გიტანა ბენალი (26)

დინამო: ჩინაძე (კაპიტანი) (ზამთარაძე 62), ვა- შაკიძე (ზამთარაძე), ა. სახაძე (პ. ჯინჭარაძე) ან- ჩინაძე (დათუაძე), გ. გოგოლაძე (ბურჯული 46), ზირაქიშვილი (ტ. ვ. მიქაძე 63), სიჭინავა (სათადარიგო: ბათიაშვილი, კანდელაკი, როსაძე, მანუჩიანი)

ტორპედო: ზოიძე (იონანიძე მხვილავი კ. კვეცი- ნაძე ჯანაშია, ჩიქოვანი (ვაჩიბერაძე 83), თურმე- ნიძე გუგუა (მურთაშვილი 79), ახვლედიანი, იმედა- ძე (ასათიანი 71), ხვიციანიანი (სათადარიგო: გრ. ტანტურია; გაბიძაური, თავ- ბერიძე, შალაშვილი)

ზორბაქო: შალაშვილი (ველია თბილისი)

სრულდა მსაბინძორი გ. ფორცხაღაძე

პაპაძე კვანთალიანი

ლირსშესანიშნავი რამ მოხდა კვირას „ეროვნულზე“. ახალმა ჩემპიონმა ძველსა და ათგ ზისას მისსავე სარბიელზე სძლია. ამ გამარჯვებით „ტორპედომ“ 10-წლიან უიღბლობას დაუსვა წერტილი — ქუთაისელებს აქამდე ერთხელაც ვერ დაემარცხებინათ სტუმრად დინამოელები.

გამარჯვებაცა და გამარჯვებაც, „ტორპედოელებს“ „დინამოს“ ამგვარ გასილაქებას ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. თანაც, ამ სხვაობით ეროვნულ ჩემპიონატში „დინამო“ არასდროს შეტყვევებულა მშობლიურ არენაზე.

რეგვარველადის დებიუტი „ეროვნულზე“ სტადიონზე ერთობ უიღბლო გამოდგა. არადა, მატჩის დასაწყისი ცუდს არაფერს უქადა „დინამოს“ ახალ, ახალგაზრდა მწვრთნელს.

შეხვედრის შედეგით მოულოდნელი იყო „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელის კუთვნილ ადგილზე ვლადიმერ გუცაევის — გუნდის გენერალური მენეჯერის გამოჩენა, მაგრამ ნამატჩევს გუცაემა გვითხრა, დავით ყიფიანის ავადმყოფობის (მოწამლეულია) გამო გუნდი ჯემალ ხერხაძემ მოამზადა და „ტორპედოს“ გამარჯვებაც მეტწილად მისი დამსახურებაა. თუ ასეა, ერთობ თავმდაბალი კაცი ყოფილა ხერხაძე, აბა, სხვა რა ვიფიქროთ, როცა მან დიდსულოვნად დაუთმო მთავარი მწვრთნელის სკამი გუცაევის.

ორივე გუნდის კაპიტანმა სრულ 7 საათზე ეროვნული კაპიტანის თანხლებით აღმართა ეროვნული დროშა „ეროვნულზე“.



ბენალიძე: ბურთი ირავლი ზოიძის ხელგმზია, გიორგი ანაბაძემ კი მუსლები მოკვებითა

ლზე“, მერე კი შილაკაძის სასტენის ხმაც გაისმა და ტურის (ალბათ, ჩემპიონატის) უმთავრესი მატჩიც დაიწყო. უკვე მესამე წუთზე დინამოელები დათუაძე მარცხენა ფრთაზე გაიჭრა და იქიდან საჯარიმოში ზირაქიშვილს ჩაუვლო ბურთი, ამან ანაბაძეს დაუტოვა, მაგრამ დინამოელთა კაპიტანმა ერთობ არაზუსტად დაარტყა თხუთმეტითი მეტრიდან.

ხუთი წუთის შემდეგ სტუმართა მცველებმა დათუაძე მარჯვენა ფრთიდან შეაკციეს საჯარიმოში, თუმცა ტან-მორჩილი ნახევარმცველის გამჭოლ გადაცემას თანაგუნდელთაგან ვერაინ დაუსვდა.

მეთორმეტე წუთზე კი „დინამომ“ ანგარიშის გახსნის რეალური შანსი ვერ გამოიყენა. პირველ წუთებში უდავოდ საუკეთესო დათუაძემ ზოიძესთან პირისპირ გაიყვანა ზირაქიშვილი, მაგრამ ამ უკანასკნელმა შვიდი მეტრიდან კარს გადააცილა ბურთი. ამ წუთებისთვის მასპინძელთა უპირატესობა აშ-

კარა იყო და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ანგარიშიც მალე გაიხსნებოდა. მე-18 წუთზე თბილისელებმა ჯარი-მა გაითამაშეს და ბურთი საჯარიმოში მარტომყოფ სახვადეს მიუვიდა, ამან კარის გასწვრივ ზირაქიშვილი შენიშნა და გადაცემა არ დაუგვიანა — „ტორპედო“ ძელმა იხსნა.

მორიგი სახიფათო მომენტი სტუმართა კართან ისევ სახვადის აქტიურობას მოჰყვა. მან ოსტატურად ჩამოიცილა ორი მეურვე და მარცხენა ფრთაზე დათუაძეს გაუჭრა პასი, ამან კი საჯარიმოში ზირაქიშვილს თავზე დაასვა ბურთი, ქუთაისელები ზოიძის დროულმა რეაქციამ გადაარჩინა — „დინამო“ მხოლოდ კუთხურს გამოიჩინა.

მერე კი მოხდა ის, რისი მომსწრენიც ზმირად ვართ ფეხბურთში — დინამოელთა ნახევარზე მესამედ თუ მეოთხედ გადავარდნილ ბურთს იონანიძე დაეუფლა და შორეული დარტყმით ჩინარაძისგან მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა.

მანამდე მხოლოდ თურმანიძის „პა-ლაკატებით“ გამოჩრეულმა სტუმრებმა ანგარიში გახსნეს.

სხვათა შორის, პირველმა გოლმა თვალნათლივ გამოაჩინა ხარვეზები დინამოელთა სამკაცა დაცვის მოქმედებაში. სწორედ ეს ფაქტორი გახდა „ტორპედოელთა“ კიდევ ორი გოლის მიზეზი, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ „დინამოს“ სათამაშო რეაქციებს შორის კავშირი საგრძობლად იყო მორღვეული, რამაც თბილისელებს გუნდურად თამაშის შანსი პრაქტიკულად დაუკარგა. ამის შედეგი კი რაც არის, თავადაც კარგად მოგეხსენებათ — „დინამო“ ცალკეულ ფეხბურთელთა (ანაბაძე, დათუაძე, სახვადე) ინდივიდუალური მოქმედების შედეგად შეეცადა ფონს გასვლას, მაგრამ „ტორპედომ“ ამ ადვილად გადასაჭრელ პრობლემას წარმატებით გაართვა თავი.

და მაინც, მასპინძლებს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება. ყოველივე შილაკაძის ნაჩქარევ გადაწყვეტილებას მოჰყვა... ანაბაძემ კედელი გაუთამაშა წაქცეულ გოგოლაძეს და ბურთიანად საჯარიმოში შეიჭრა, იქ კი ხვადეიანთან ჭიდილში დაეცა.

საექვსო პენალტი თავად ანაბაძემ შეასრულა, მაგრამ სტუმართაგან ერთერთმა საუკეთესომ, მეკარე ირავლი ზოიძემ ნახტომში შეძლო ბურთის მოგერიება.

წინა მომენტმა არა, მაგრამ ტაიმის ბოლოს „ტორპედოს“ მესამე გოლმა საბოლოოდ გატუნა მასპინძლები: დათუაძის კუთხურის შემდეგ ქუთაისელმა მცველებმა სწრაფად გამოიტანეს ბურთი საჯარიმოდან, დავით ჯანაშიამ თავისსავე ნახევრიდან გაუჭრა პასი მიედნის ცენტრალურ ზაზთან მყოფ კახა კვეციანიძეს, „დინამოს“ დაცვა, ამ-

ჯერად სისწრაფეში, ერთხელაც ჩაფლავდა, კვეციანიძემ კი შშვილად მოატყუა პირისპირ შეყრილი მეკარე ალექსანდრე ჩინრაძე და ოციოდ მეტრიდან ცარიელ კარში გაიტანა.

მანამდე კი იმედაძის „მუშა“ გოლი იყო. მეტოქის საჯარიმოში კარგად გაისარჯა ტანდალი ტორპედოელი, ორ მცველთან ჭიდილში შეინარჩუნა ბურთი, ლამის ნახევარი საჯარიმო ასე ბურთიანად, მცველთა წვალებით მოიარა და ნახევრად ვარდნაში აუღებელი დაურტყა ჩინრაძეს.

ასეთი გოლები საქართველოს ჩემპიონატში იშვიათად გადის და სასიამოვნო იყო, რომ იმედაძემ საკვირაო ამითაც მატჩი გააღამაშა.


„ტორპედომ“ საქმე პირველივე ტაიმში მოამთავრა და თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, „დინამოს“ მართლაც სასწაული უნდა მოეხდინა, მატჩი რომ გადაერჩინა. მეორე ტაიმს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე თუ რა კორექტივებს შეიტანდა გუნდის თამაშში რეგვარველაძე. ეს საინტერესო კი იყო, მაგრამ დინამოელთა თამაშში პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა. არველაძემ ან დრო არ ეყო (ტაიმებს შორის 15 წუთი) ხარვეზების აღმოსაფხვრე-



საუკეთესო ტორპედოელები ირავლი ზოიძე და ვალტერ გუჩუა (№19) უშიშრად დაუხვდნენ კუთხურისას რეგვარ ქემოკლიძის (№2) შეტევას



დინამოელი ზაზა ზირაქიშვილი (№10) და ტორპედოელი ვახტანგ თურმანიძე



ფორსა, ბათუმი!

კარნავალი ბრაზობს. ესა იბი, უტავს

ბათუმი 27 აგვისტო 18:30 საათი 19:30

ბათუმი 3:1 თსუ

10 აფხაზი (4), 11 ნუნუნა (3), 21 მუჯირი (53), 31 აფხაზი (55)
 ბათუმი: ქვანახია, შაბიძე, მინდაძე, სიდაშვილი, ქობულაძე (ქაჯარაია 7), მფინაძე, ნოზელი (ტაღლა ქორიძე 5), კაბაბაძე, გაბისონია, ა. მუჯირი, აფხაზი (ფულუგიშვილი 82)
 სათადარიგო: ბედიასვილი, თედორიძე, სიხარულაძე, დარჩიძე
 თსუ: მამარდაშვილი, ერადე (ა. ნოზაძე 62), სარეზაძე, ვეციანი, ეზრალიძე, არეშიძე (ა. ბოკურია 83), სხანაძე (ა. ლაღაშვილი 67), მქსი, აბალოძე, რ. გოციროძე, ნუნუნა
 სათადარიგო: გუგუნაძე, მორჩილაძე, ლობჯინაძე, ზე. ლაბაძე
 მწვერვალი: ქაჯარაია (47), ლაღაშვილი (84)
 მსაჯინი: ა. მქსი, ზ. მქსი, მ. მქსი (ორვე თბილისი) ზ. ხუციშვილი (დმანისი), კ. მქსი (ზუგდიდი)
 სრულს: მსაჯინი: ა. დურგენიძე



კვირას გორში: „დილა“ — მერანი 2:1 ზურაბ ხორგუაშვილის ამ დარტყმულს აყვირს დევიდის კარში პირველი გოლი მოჰყვა

ოფსაიდური აზგაში ბაბრქელაბა იქნება

ბათუმი 27 აგვისტო 18:30 საათი 19:30

ბათუმი 2:1 მერანი

10 აფხაზი (7), 20 ხორგუაშვილი (76), 21 გოჯორიძე (84)
 დილა: მდიანი, აკოფიანი, გრიგოლაშვილი, გგინძე, ლ. გოჩიაშვილი, ფეხიანი, კობიაშვილი (საფარაძე 66), ცეციშვილი (სოხაშვილი 77), ფეხიანი, ხორგუაშვილი, ა. ხმალაძე (ლომინძე 74)
 სათადარიგო: თ. ილიურიძე, მ. ბურნაძე, გ. ტყეშელაშვილი
 მერანი: დევიდო, თბილისი, დევიდო, გ. ილიურიძე, კობიაშვილი (კ. კვციანიძე 35), დ. გოჯორიძე, ლ. ხორგუაშვილი (ბაგვალიძე 76), კაბაბაძე, ქვანახია (თბილისი 80), მინაშვილი, გუგუნაძე
 სათადარიგო: ნიჭიანი, იმანიშვილი, ცეციშვილი, ბიჭვინძე
 მწვერვალი: მამარდაშვილი (62), საფარაძე (88)
 მსაჯინი: ა. მამარდაშვილი, ნ. რუსთაველი, მ. დარჩიანი (ველა ქუთაისი)
 სრულს: მსაჯინი: ა. მქსი, მ. მქსი

ფეხბურთი

თამაშარედიან გაშვებული ბურთი, არჩათვლილი გოლი, არდანიშვილი თერთმეტმეტრიანი — ასეთი გახლდათ მერანელთა პრეტენზიები მთავარი მსაჯისა და თანამსაჯ გიორგი კიკაძის მიმართ. სტუმრები მართლაც შეტყუებულნი იყვნენ. შავოსანთა ნამოქმედარით აღმფრთხილებელი გახლდათ თბილისელთა დამრიგებელი სერგო გაბელიაძე. „რაც მოხდა, ყველამ კარგად ვნახეთ. პირადად მე, მსაჯების განკითხვა წესად არ მაქვს, ეს მოხელეების საქმეა“ — მერანელთა მთავარი მწვრთნელი „სარბიელის“ შეკითხვაზე, აბრალებს თუ არა თავისი გუნდის წაგებას მსაჯებს, ამ სიტყვებით შემოიფარგლა.

საქმე კი, ასე იყო... გორელებმა მატჩის დებიუტშივე მედრად შეუტიეს — პირველ ტურში შინ დიდი ანგარიშით დამარცხებულნი ერთობ გახლებულნი ჩანდნენ. აკაკი დევიდის მალევე მოუწია დაფაცურება, როცა აკოფიანი-გოჩიაშვილი-ხმალაძის კომბინაცია გოლით დაგვირგვინება არ დაანება. გორელთა მიერ შექმნილი მომდევნო სახიფათო მომენტი კი მაინც გოლად იქცა. ამირან ხმალაძეს კვლავ ლევან გოჩიაშვილმა უპასა და მეკარესთან პირისპირ გასულს მეორე ცდაზე დარტყმა აღარ გაცუდებია. სწორედ ამ ეპიზოდზე ჩიოდნენ მერანელები, გოლი თამაშგარედან გავიტანეს.

პირველმა წარმატებამ „დილა“ არ დააოკა. „მერანი“ კი ჭანჭიკოშვილს მექანიზმს წააგავდა, მის სათამაშო დისციპლინას სიმტკიცე აკლდა. სტუმართა თითქმის ყოველი შეტევა ოფსაიდის დაფიქსირებით მუხრუჭდებოდა. ფორვარდები — მამუკა მინაშვილი და დავით გოღობერიძე რატომღაც მკაცრად იცავდნენ დისციპლინას და ერთმეორეს 20-30 მეტრზე ახლოს არ იკარებდნენ. ვერც ნახევარდაცვამ გამოიდო თავი და რა გასაკვირია, რომ ტაიმის ბოლომდე გორელები სრულ უპირატესობას ფლობდნენ. ეროვნული ნაკრების ყოფილ მეკარეს რის ვაივა-გლახით მოუხდა ვერც ახლოდან ხმალაძის, მერე კი შორიდან ზვიზა გაგნიძის გასროლილის მოგერიება. სახიფათო იყო ზურაბ ხორგუაშვილის მცირედ არაზუსტი თავურიც, „მერანი“ პირველი 45 წუთის მიწურულსა და მართა წელში და ანგარიშის გათანაბრების შანსიც მიეცა — გორელთა საჯარიმოში მცველთაგან შეუწყებლად დარჩენილმა გოლდერძიშვილმა მიხანს ააყვინძოა.

შესვენების შემდეგ თამაშის სადავეები სტუმრებმა იპყრეს ხელთ. გაბელიას გუნდი მეტოქეზე უფრო ქორფად გამოიყურებოდა. როგორც იქნა, ამოქმედდა თავდასხმელთა ტანდემი: გოღობერიძე-ხმალაძე სამ მცველს აჯობა და სეხნია მდიანის კარის სახლოვეს მარჯვნიდან, მეტად მახვილი კუთხიდან შორეული ძელისკენ ჩაჰკიდა ბურთი, რომელიც ვითომდა ბადემ უნდა გაეხვია მინაშვილს, მაგრამ „დილას“ მეკარემ უკუაგლო.

მერანელები ავთანდილ შალაბერიძისგან და გია კიკაძის მიხედვით კარის ადების დაფიქსირებას მოითხოვდნენ, რადგან სანტიმეტრებით კი არა, ბურთმა ნახევარი მეტრით გადაკვეთა კარის ხაზი — არწმუნებდა სათადარიგოთა სკამზე მსხდომ თავაგუნდებულსა და მწვრთნელს მსაჯებთან კამათისგან ქსნცაწვეტელი გოღობერიძე.

მერანელთა იერიშები არც მერე გახლებულა. მათ შტურმისმავარიც მოუწყვეს მეტოქეს, მაგრამ ხან სიზუსტემ დააღალატა თბილისელები, ხან მდივანი ყოჩაღობდა, რომელმაც ერთ ეპიზოდში ზედხედ ორჯერ იხსნა გუნდი — ვერ იოსებ დევიდის აჯობა, დამატებულზე კი დავით მინაშვილს. გოლი „დილას“ კარში ვითომ სულ უფრო მწიფდებოდა და მაშინ იყო, რომ ოფსაიდურ მატჩში, მერე კი მთლად ყულფში ამოჰყო „მერანმა“ თავი. ბურთს თავისთავად ნახევარზე გოჩა გუჯაბიძე დაუფულა, ცენტრისკენ წაიწია, ხოლო გორელები ხელოვნური თამაშგარესთვის ვიქტორ ამოიწვივნენ, რამაც მერანელთა გამოცდილი მცველი დაბნია და ბურთი გოჩაშვილს „ჩააბარა“. გორელთა მარცხენაფლანგელმა კი დაუბრკოლებლად გაიბრინა ორმოციოდ მეტრი და უკეთეს პოზიციაში მყოფ ხორგუაშვილსაც საგოლე პასი მიართვა.

ალბათ, ცოტას თუ ეგონა, მერანელები კვლავ გამოიღებენ თავსო, მაგრამ სერგო გაბელიას ბიჭებმა მერაბ ხუციშვილის ხელოვნურ ოფსაიდში გაწაფულებმა ბოლომდე დიდი შეპარებით იბრძოლეს და როცა მათგან საუკეთესო გოლდერძიშვილმა ერთი ბურთი გაქვითა, კიდევ უფრო შმაგად შეუტიეს. „მერანს“ დენთის საკმარისი მარაგი კი აღმოჩნდა, მაგრამ... მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში მინაშვილი მეტოქის საჯარიმოში მცველთან ორთაბრძოლისას მინდორზე განერთხა, ავთანდილ შალაბერიძემ კუთხურის ნიშნულისკენ მიუთითა, თერთმეტმეტრიანი არ გამოცხვია, მერანელები არბილეს მიეტყვნენ და მხოლოდ სიტყვიერად დატყუეს.

წყალი არ გაუვა — სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტს საქმე მიეცა. მერანელები კი, თუ ართიმეტიკა არ მალატობს, 17-ჯერ (!) აღმოჩნდნენ ოფსაიდში.

სხვათა შორის, პირველი ტურის მატჩში, ასეთ დღეში „დილას“ წინააღმდეგ მთამაშე „ვიტ ჯორჯია“ აღმოჩნდა, იმ განსხვავებით, რომ ვიცე-ჩემპიონმა გამარჯვება, თანაც დიდი ანგარიშით, მაინც შეძლო.

ბათუმი ახალ საფეხბურთო სეზონს „ხედეტეტი“ სახელით ფაციფუკის გარეშე კი დაუხვდა, მაგრამ მასპინძლებს გუნდების მინდორზე გამოჩენისას არც საფეხბურთო მარში დავიწყებით და არც ეროვნული დროშის აღმართვისას შემოლიათ რაიმე.

მიუხედავად ამისა, პრობლემა მაინც გამოიჩინა, ოღონდ ამაში ბრალი ბუნებას მიუძღოდა. თამაშამდე საათით ადრე ბათუმში ისე გაწვიმდა, იფიქრებდით, მატჩი გადაიდებოდა, მაგრამ დაწყებამდე გამოიდარა და გადასადებ-არჩასატარებელიც არაფერი დარჩა. ერთი კი იყო — წყალმა ხაზ-ნიშნულები წაშალა და სტადიონის პერსონალს ხელახლა მოუხდა მოედნის დახაზვა.

რუსთაველი მარცხმა ჯანი კარნავალი, ეტყობა, ისე გააბრაზა, თავის გუნდს პირველივე წუთიდან შტურმი მოსთხოვა და აკი ასეც მოხდა. მსაჯის სასტვენნი და მასპინძელთა სტუდენტთა საჯარიმოში ჩასახლება ერთი იყო. უკვე მეორე წუთზე გელა გაბისონიას თავით შექმლო გატანა, მაგრამ დარტყმა უზუსტო გამოვიდა.

სტუდენტები, ცოტა არ იყოს, არეული ჩანდნენ და „ბათუმს“ ვერაფრით უძალიანდებოდნენ. გოლიც სწრაფი გამოდგა. მე-14 წუთი იყო, საჯარიმის სახლოვიდან ამირან მუჯირმა ეფექტურად რომ დაურტყა მამარდაშვილს. მეკარემ ბურთი კი უკუაგლო, მაგრამ



კვირას ბათუმში: „ბათუმი“ — თსუ 3:1. დიდი არეულობა სტუდენტთა კართან — დავით მამარდაშვილმა მასპინძელთა შეტევა მუშტით მოიგერიო

უაუალოდ, მამრამ... შინისკახ

ფაქტი
27 აგვისტო
1830 საათი
ფაზისი
1000 (ტყველი 6 500)

კოლხეთი 2:0 იბერია

წინა ფაზისი (6), 2-ე ფაზისი (72)
შედეგობა ვერ გაიტანა ბენალი (72, მკარე)
კოლხეთი: ჩინა, ქუთაისი, ფრანგიშვილი, შაპა-
ვა, მალაქაძე, აბაქაძე (კვიციანიშვილი 81),
კაკაბაძე, სუფია (კრასოვი 82), შედეგობა
დ. ჩიტია (76), ფაქტი, ლაბანძე
საბაძე (81)
საბაძე (81)
საბაძე (81)
საბაძე (81)
საბაძე (81)
საბაძე (81)

ურბან კინოთეატრი ფოთიდან

„ვაზისზე“ მეთორმეტე ეროვნულ-
ლის გახსნა დღის ზარ-ზემით აღნიშ-
ნეს, ვერ ვიტყვი, მაგრამ საბერძნე-
ნული არაფერი ყოფილა. ქართულ სა-
ფეხბურთო მარშს მოთამაშეებისადმი
და გულშემატკივრებისადმი მისასალ-
მებელი ფოთის ფეხბურთის საქალა-
ქო ფედერაციის პრეზიდენტის ბორის
ბარამიას სიტყვა მოჰყვა. მერე მტო-
ქე გუნდების კაპიტნებმა ზველ და-
ლანძიძემ და იოსებ გვიგიამ დასაბუ-
ღებულ კიბონის თანხლებით ეროვნული
ფორმა აღმართეს. თამაშში ბურთის
შეგვანამდე კი სტადიონზე წუთიერი
დუმილი ჩამოვარდა. „ვაზისზე“ შეკ-
რებილებმა პატივი მიაცხადეს ფოთის ფე-
ხბურთის მოამბის გვიგის ხომერკის,
რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრის
იური გობრონიძის და „კოლხეთში“ ნა-
თამაშევი დავით ნოზაძის ხსოვნას.
მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათ-
ით ადრე ძლიერი ქარი ამოვარდა,
წვიმამაც გვარიანად დაუშინა, ოღონდ
რამდენიმე წუთში ერთიც და მეორეც
ისე ჩაცხრა, მობურთალებისთვის ხე-
ლი არ შეუშლია.
ამ შეხვედრის ფაქტორები, რაღა
თქმა უნდა, უფრო გამოცდილი მასპი-
ნელები იყვნენ, თუმცა ისიც საფიქრ-
ებელი იყო, რომ „იბერიას“ ჭაბუკური
შემადგენლობა მეტოქეს უბრძოლვე-
ლად არ დანებდებოდა და, ასევე ყვე-
ლაფერი კარგი ავიხედეთ — თამაში
საკმაოდ მაღალ ტემპში და საინტერ-
ესოდ წარიმართა.
პირველი სახიფათო მომენტი მე-8
წუთზე შეიქმნა. სტუმრებმა კოლხთა კა-
რისკენ გაიწიეს. მუშაობდნენ თითქმის მო-
ედნის ცენტრიდან მარცხნივ ზუსტად გა-
ჭურვა გოროვამეს, ამან იმარჯვა და, ფა-
ქტობრივად, საგოლედ გადაწოლა მე-
ტრეველს. ზურაბმაც დაახლოებით 15
მეტრიდან ძლიერად დარტყა და... ბურ-
თმა სანტიმეტრებში ჩაუქროლა ძელს.
„იბერიას“ ამ გამონდომას კოლხებმა
მძლავრი იერიშებით უპასუხეს. საოც-
რად აქტიურად ათამაშდნენ მათი ნახე-
ვარმეცხველები კიკლიაშვილი და ლაღანი-
ძე, მაგრამ გამორჩეულად ფანჩულოდ
გელა ფანჩულაძე საუკეთესო იყო
ზღვისპირეთთან, ისე აზარტულად
ირჯებოდა მარცხენა ფლანგზე, თქვენ
მოწონებულა. ანგარიში სწორედ მან
გახსნა. სამტრედიელთა საჯარიმოსკენ
გაგზავნილს შავვლიძემ უკუვარდნა-
ში ეფექტური დარტყმა კი შეაგება,
მაგრამ არცთუ ზუსტი გამოვიდა და
ბურთი საჯარიმოს კუთხისთან ახლო
მყოფ ფანჩულაძეს გადავარდა, ამა-
ნაც არ დაახანა, შეუჩერებელი ძლიერ-
ად გაისროლა კარისკენ და ჩომახი-
ძემ გვლარ იხსნა თავისიანებით.
30-ე 35-ე და 42-ე წუთებზე ფან-
ჩულაძეს ანგარიშის გარეშაც შეე-
ძლო, მაგრამ არ გაუმართლა. ჯერ იყო
და ქუთუთიას მარჯვნიდან ჩაწოდებ-
ულზე ახლოდან თავური აუცდა, მე-
ორე ინდივიდუალური გარდევაც ვერ
დაავიჯინა ზუსტი დარტყმით —
მცირედით ააცილა მიზანს, ბოლოჯერ



ლევან კობიაშვილი: ტაიმი ფრაიბურგში, ტაიმი ნაყრებში

ამ უმძიმესზე, როცა ევროპის თითქმის ყველა ქვე-
ყნის ნაკრები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესა-
რჩევ მატჩს ითამაშებს, საქართველოს ეროვნული გუნდი
პარასკევს გერმანიას ესტუმრება და პირველი ბუნდესლიგის
„ფრაიბურგს“ ამხანაგურად გაეჯიბრება. ჩვენებურები, მო-
გესხვებით, მე-8 შესარჩევი ჯგუფის პირველ ტურში თავ-
ვისუფლები არიან და წლეულს ოფიციალურ მატჩს პირ-
ველად ოქტომბერში კაუნასში, ლიტველების წინააღმდეგ
ითამაშებენ.

ალბათ ისიც მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრებმა 4
სექტემბერს ასტანაში, ყაზახებთან რომ დაეგვემა ამხანა-
გურად შეხვედრა, მაგრამ შემდეგ ქართველებმა აზიელე-
ბთან მატჩი იუარეს და სწორედ ზემოხსენებულ „ფრაიბუ-

მერანელი მუხიანი შპრანიელი ფეხბურთელი საქართველოს ჩემპიონატში

საქართველოს ეროვნულ ჩემ-
პიონატში ბოლო ლეგიონერი „ათათუ-
მის“ ნიგერიელი უჩე უგაკვე გახლდათ,
შარშან ორჯერ თითო ტაიმი რომ ითა-
მაშა და მერე სადღაც გაუჩინარდა.
წლეულს, 6 სექტემბერს, ჩემპიონატის
მესამე ტურში, „სინათლის“ სტადი-
ონზე, მერანის მაისურით, კვიტ ჯორ-
ჯიას მეტოქედ შესაძლოა ერთი უცხო-
ტომელიც ვიხილოთ — 25 წლის უკრა-
ინელი ანდრეი მუხინი. ის ამჟამად ნა-
გვარამცხველია და უმეტესად საფრენად

თამაშობს. თავის დროზე დონეცკის „შა-
ხტარის“ ფეხბურთელი გახლდათ, თბი-
ლისის „მერანში“ გადმოსვლამდე კი უკ-
რაინის მეორე ლიგის ერთ-ერთ ქვეკლუბ-
ში, ლუგანსკის „ზარიაში“ ითამაშებდა.
ანდრეი მუხინმა „მერანთან“ ორწლი-
ანი კონტრაქტი უკვე გააფორმა. როგ-
ორც კლუბის მესურვეები ამბობენ, ჩი-
ნებულ ფორმაშია, საჩემპიონატო გა-
ნაცხადში მისი შეგვანა პრობლემა არ
იქნება და ალბათ „ვიტ ჯორჯიას“ წი-
ნააღმდეგაც ითამაშებს.

უკრაინელი ფეხბურთელი გორში,
„დილა“ — „მერანის“ მატჩსაც დაე-
სწრო და თავის ახალ კლუბზე საკმა-
ოდ კარგი წარმოდგენაც შექმნა.
უახლოეს დღეებში თბილისის „მე-
რანი“ კიდევ ორ უცხოელ ფეხბურ-
თელს ელის, ერთს, ასევე უკრაინელს,
მეორეს — რუსს. გამორიცხვად არაა,
„მერანი“ ვიტ ჯორჯიას სამივე ლე-
გიონერთაც დაუპირისპირდეს, ყოველ
შემთხვევაში, ამისი სურვილი აქვს.

ორი ნუთი და ორიანი

საქართველოს ეროვნული ნა-
კრების მომავალმა მეტოქემ, გერმანული
ბუნდესლიგის „ფრაიბურგმა“ კვირას
ქვეყნის თასის პირველ ეტაპზე სტუ-
მრად სამოყვარულო „ჰფულენდორფი“
3:1 დაამაცნა და შემდგომ ეტაპზე გა-
ვიდა.
„სარბილის“ მკითხველს კარგად მო-
ეხსენება, რომ ამ გერმანულ კლუბს
ჩვენი ყურადღება სულაც არ აკლია.
აგერ უკვე მესამე სეზონია, „ფრაიბუ-
რგის“ ღირსებას სამი ქართველი ფე-
ხბურთელი — ლევან კობიაშვილი,
ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქი-
ტიშვილი იცავს.
სწორედ ქართველთა ბრწყინვალე
თამაშის წყალობით სძლია „ფრაიბუ-
რგმა“ „ჰფულენდორფს“. სტუმრების
მიერ გატანილი სამი გოლიდან სამივე
ქართველებმა ჩაიწერეს აქტივში.
მატჩის პირველი ნახევარი საკმაოდ
კარგად ჩატარა „ჰფულენდორფმა“. მო-
ყვარულებმა ჭაოსურად და დახეულად
მოთამაშე სტუმრებს ტოლი არაფერში

დაუდეს და ტაიმიც 0:0 დასრულდა.
აი, მეორე ნახევარში კი ყველაფერი
თავის ადგილას დადგა. ფრაიბურგე-
ლებმა მეტოქეს შეუტყეს და მალე უპირ-
ატესობა ტაბლოზეც ასახეს.
ალექსანდრე იაშვილმა ორ წუთში,
61-ე და 62-ზე, ორი ბურთი გაიტანა,
რასაც მატჩის დასრულებამდე ხუთი
წუთით ადრე ლევან კობიაშვილმა ერთ-
იც დაამატა. მასპინძლებმა ამის შე-
მდე ერთი, პრესისთვის გოლის გატანა-
ლა მოახერხეს. თავი სტოიკაცმა გამოი-
ჩინა. დუბლით ხელამწვინებულ ია-
შვილს კიდევ ორი მომენტი ჰქონდა,
მაგრამ ვერ გამოიყენა.
„ფრაიბურგის“ ძირითად შემადგენ-
ლობაში წლეულს პირველად ითამაშა
ლევან ცქიტიშვილი. მას ბოლო დროს
ტრავმა აწუხებდა, რომელიც უკვე მო-
ირჩინა და ბუნდესლიგის ახალი ჩემ-
პიონატის მეორე ტურშიც ითამაშა შე-
ცვლად. „ჰფულენდორფთან“ ცქიტი-
შვილმა „კიკერისგან“ არცთუ მაღალი
შეუასება, 4-იანი დამსახურა. სამაგი-

ეროდ, კარგი ნიშნები მიიღეს იაშვი-
ლმა და კობიაშვილმა. მათ „იკერმა“
2-იანები დაუწერა. ეს პატივი ფრაი-
ბურგელთაგან სხვას არავის რეგება.
საქართველოს ნაკრების საპარასკე-
ვი მეტოქემ, რომელსაც „ჰფულენდორ-
ფთან“ მატჩში ტრავმების გამო შევი-
დი ფეხბურთელი (პერმელი, კონდე,
ვაისპაუტტი, ციური, კელი, შუმანი და
დრიერი) აკლდა, კვირას 6 450 მაყუ-
რებლის თვალწინ ასეთი შემადგენლო-
ბით ითამაშა: გოლცი, დიარა, კობიაშ-
ვილი, მიულერი, ცქიტიშვილი, ზანდი,
რამდანი, ვილი (ბურუსი 71), ბაია, იაშ-
ვილი (დონი 83), სელიძე (კობიაშვილი).
აქვე არჩილ არველაძის „კოლხეთს“
გეტყვი. კიოლხელები სტუმრად „მა-
გდებურთან“ 2:5 შერცხვნენ.
არველაძემ „იკერისგან“ „ა“-ანი მი-
იღო. „კიოლხის“ მთავარმა მწვრთნელმა
ეკვალდ ლინნამ ჩვენებური 78-ე წუთზე
ბულგარელი გეორგი დონკოვი შეცვა-
ლა.

სარკიელი

საორბული ლაბარია "CROCO"

ინგლისი. I დივიზიონი. მე-4 ტური
29 აგვისტო

001	ქრიუ-გრემსბი	2,0	3,1	3,2
-----	--------------	-----	-----	-----

ინგლისი. II დივიზიონი. მე-4 ტური
29 აგვისტო

003	კოლჩესტერი-ოლდემი	2,1	3,1	3,2
004	რედინგი-სტოკი	2,2	3,1	3,0
005	უოლსოლი-ოქსფორდი	1,5	3,5	6,0

ინგლისი. III დივიზიონი. მე-4 ტური
29 აგვისტო

006	დარლინგტონი-პლიმუთი	1,65	3,2	4,7
007	ურიუსბერი-კარლაისლი	2,1	3,0	3,3

საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-6 ტური
29 აგვისტო

008	კანი-ანჟე	1,6	3,0	5,3
009	კრეტეი-შატორუ	1,6	3,0	5,3
010	გენიონი-კაენი	1,7	2,8	5,3
011	ლაგალი-ნიცა	1,9	2,7	4,0
012	ლე აგრი-აიანო	1,45	3,3	7,0
013	ლე აგრი-აიანო 0:1	2,0	3,2	2,3
014	ლორიანი-ბოგუა	1,45	3,3	7,0
015	ლორიანი-ბოგუა 0:1	2,0	3,2	2,3
016	მონპელიე-მარტივი	1,3	4,0	7,5
017	მონპელიე-მარტივი 0:1	1,9	3,2	2,6
018	ნანსი-ნიმი	1,35	3,8	7,0
033	ნანსი-ნიმი 0:1	2,0	3,0	2,4
019	სოშო-ლე მანი	1,45	3,3	7,0
034	სოშო-ლე მანი 0:1	2,0	3,2	2,2
020	ვასკეალი-ნიორი	2,2	2,7	3,4

ჰოლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩი
30 აგვისტო

021	როზენდალი-ბრედა	2,5	3,0	2,5
-----	-----------------	-----	-----	-----

ბელგია. II დივიზიონი. მე-2 ტური
30 აგვისტო

022	სტრომბეკი-მაასლანდი	1,9	3,2	3,5
023	დენდერლეუ-დესელი	1,9	3,2	3,5
024	ტინენი-ჰეკელგემი	1,8	3,1	4,0
025	მონსი-ჰეუსდენი	1,75	3,2	4,0
026	რუზელარე-ლიეჟი	2,0	3,2	3,3
027	სერკლი-ლომელი	2,3	3,0	2,9
028	ინგელმუნსტერი-დაინცე	1,5	3,5	6,0
029	გეელი-მოლენბეკი	1,7	3,3	4,2
030	ოსტენდე-ტურნჰაუტი	1,9	3,1	3,6

შვეიცარია. „ბ“ ჯგუფი. გადადებული მატჩები
30 აგვისტო

031	ბელინცონა-ბადენი	1,55	3,4	5,3
032	კარუჟი-ვილი	2,3	3,2	2,7

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაახუსტეთ

გათაბაშაბის წესები

სამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიყენოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიყენოს ვარიანტი აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეთადის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (პანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმონდება შეტანილი, ქვიტორის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებული ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მიწოდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვიტარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობლად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვიტარი უნდა შეიცვოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვიტორის ფანქრით ან ნითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვიტარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვიტარი თვითკომპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, იცვლება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვიტარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვიტარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვიტარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვიტარების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ შემთხვევით აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციის ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვიტარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვიტარებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი ვაცნობილია გათამაშების წესებს და თანხმება, ითამაშოს არსებული წესებით.



ინგლისი

I დივიზიონი. IV ტური
პორტსმუთი 3:1 ვულვირამბატონი
 1:0, 2:0, 3:0 კლარიფი (2, 29, 31), 3:1
მცხაბია (44)
 ბორმინგი — ბარნლი 4:3 ბარნლი — ვილინგი 1:1
 კრ. პალასი — ნოტინგი 2:3 ნორვიჩი — ფულემი
 0:1 პრესტონი — უიმბლდონი 1:1 სტოკპორტი —
 პაველსფილდი 0:0 ტრანსერი — ბოლტონი 0:1 უოტ

ფორდი — შეფილდი 4:3 ვესტ ბრომვიჩი — ქუნზ
 პარკი 2:1 უესტმისტი — ბლექბერნი 1:1

II დივიზიონი. IV ტური
 ბრენტფორდი — როვერსი 2:2; პრისტლი —
 როტერჰემი 0:1; ბერი — ნორთემპტონი 1:0;
 ნოთისი — კემბრიჯი 0:1; პიტერბორო — სუო-
 მსი 0:2; პორტვუდი — სუინდონი 3:0; უიკო-
 მბი — ლუთონი 1:1

III დივიზიონი. IV ტური
 ბრაიტონი — კიდერმინსტერი 0:2; კარდიფი —
 საუთენდი 2:2; პალიფაქსი — როზდელი 1:2;
 პარტლბული — ჩელტენემი 0:0; პალი — ლი-
 ნკოლინი 1:1; ლეიტონი — ესეტერი 2:1; მენს-
 ფილდი — მაკლსფილდი 4:4; სკანთორპი —
 ჩესტერფილდი 1:1; ტორკი — ბლექჰუმი 3:2;
 იორკი — ბარნეტი 1:0



კუნძუბის სროლა და სეკვა

რბ თქმა უნდა, გრძელდება ოლიმპიური ცეცხლის ასდღიანი მოგზაურობა ავსტრალიის მიწაზე. ახალი სამხრეთ უელსის მიწაზე, ვესტ გაიალონგში ჩირაღდამმა მაშინ შეაღწია, როცა იქ არაოლიმპიური შეჯიბრი — კუნძუბის სროლის მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობდა. ბელმონტში კი, იმავე ახალ სამხრეთ უელსში, მთაწაფე გოგოები ოლიმპიური რგოლების ფერებში ვამოწყობილნი ცეკვა-ცეკვით შეეგებნენ ცეცხლს.



მოანსინგური

გერმანიაში, სტარნბერგის ტბის მიდამოებში, წელიწადში ერთხელ შეიკრიბებიან ხოლმე გლეხები, აღკაზმავენ დასუქებულ ხარს, მოასხდებიან ზედა და ჰეი! ამას ჰქვია მოენსინგური რბოლა. ვასწი, ხართ...



ნოელი გლაზგოუი

აბბ ვინ არ იცის, რომ ჯგუფ „თაზისის“ განთქმული ლიდერი ნოელ გლაზგოერი „მანჩესტერ სიტი“ თავგადასვლით გულშემატკივარია. მაგრამ ეს ფოტო გვიმტკიცებს, რომ ნოელს არა მხოლოდ „სიტი“ უყვარს, არამედ ზოგადად ფეხბურთიც. ამ კვირას გლაზგოერი გლაზგოს „სელტიკ პარკზე“ იყო და უმზერდა „ნოულდ ფირმ დერბის“, „სელტიკსა“ და „რეინჯერსს“ შორის.



გუბუს ქორწილი

ბუშარმისტში ერთი რამ კარგი ქორწილი გაიმართა. ვერონას „ჰელასის“ ფეხბურთელმა ადრიან მუტუმ ბირმშვენიერ აღექსანდრაზე დაიწერა ჯგარი. რუმინელი ფეხბურთის ყრმა ვარსკვლავს ქორწილში სტამბოლიდან ეწვია უბერებელი ვარსკვლავი გეორგე ჰაჯი.



სარბიელი
 სკორტული გაზეთი
 გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
 გამოდის სამსახურს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

თავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
 დირექტორი გიორგი მამუკაძე
 რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი
 მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
 ავთანდილ გურასაშვილი
 ქართული ფეხბურთის რედაქტორი მანანა ბუჩქაძე
 უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულიაშვილი
 ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი სოსო კობორაძე
 ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
 კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
 ფეხბურთის რედაქტორი ქართული განყოფილება კობა ინასარიძე
 მამუკა კანტალიანი, პაატა კანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, ზურაბ მეტეველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქტორი გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიორგი ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორნელიანი; ქუთაისში თუზა კაციტაძე; ფოტორეპორტაჟები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე; სტილისტი მია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი; კომპიუტერული ცენტრი ელენე გულუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე; ტრისტან კახურაშვილი, ნინო კვლეშაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
 გამომშვები ზურაბ ინაშვილი

გეორგიის მისამართი:
 თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
 თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
 ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
 ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge